ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 30 ივლისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 25 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ“;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებონენ: კ. ნასარაია, კ. მიქაბერიძე, ფ. შონია, მ. ლემონჯარია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ლ. ცატავა, ნ. ვეკუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 26 ივნისის №01-366-01 ბრძანების საფუძველზე 2019 წლის 1 ივლისიდან მერიაში დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. მათივე განმარტებით, რეორგანიზაციის პირველ - დაგეგმვის ეტაპზე, მერიის სამსახურებიდან შესული წინადადებების საფუძველზე, მერიის ხელმძღვანელ პირებთან კონსულტაციით განისაზღვრა მერიაში განსახორციელებელი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სტრუქტურული, თანამდებობრივი და ფუნქციური ცვლილება დაიგეგმა მერიის 4 სამსახურში, რომელთაგან 3 სამსახურში განსახორციელებელი ცვლილება იწვევს მერიის და მერიის შესაბამისი სამსახურის დებულებებსა და მერიის

საშტატო ნუსხაში ცვლილებას. რეორგანიზაციის პროცესში დაგეგმილია შემდეგი სახის ცვლილებები: 1. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, განყოფილებას ემატება 1 საშტატო ერთეული, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის სახით; 2. მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში იქმნება 1 განყოფილება და 2 განყოფილებას შორის ხორციელდება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების (მიმართულებების) ახლებურად გადანაწილება, რომლის ფარგლებშიც ამჟამად მოქმედ განყოფილებას ნაწილობრივ ეცვლება ფუნქციები და დასახელება და განყოფილებები ყალიბდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით და დასახელებებით: „კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება" და „სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება". ამასთანავე სახელწოდება ეცვლება სამსახურს, მის დასახელებაში ტურიზმის სფეროს დამატებით და ყალიბდება შემდეგი ფორმულირებით: კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. სამსახურში დაგეგმილი ცვლილებებით სამსახურის საშტატო რიცხოვნობა იზრდება 1 საშტატო ერთეულით - განყოფილების უფროსის სახით. 3. მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის საშტატო რიცხოვნობა მცირდება 1 საშტატო ერთეულით - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის სახით; დაგეგმილი ცვლილებებით, მერიის საშტატო რიცხოვნობა მიმდინარე ეტაპისთვის იზრდება 1 საშტატო ერთეულით, რომლის დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნება მიმდინარე წლისთვის არსებული ეკონომიები, ხოლო მომავალი საბიუჯეტო წლისთვის შესაძლებელია მისი დაფინანსება სახელფასო ფონდის ზრდის გარეშე, სახელფასო ფონდში არსებული ასიგნებების ღონისძიებებს შორის გადანაწილებით. რეორგანიზაციის პროცესში იმ თანამდებობებზე დასაქმებული მოხელეები, რომელთაც შეეხებათ ცვლილებები უზრუნველყოფილნი იქნებიან ტოლფასი თანამდებობებით. გარდა ზემო აღნიშნული ცვლილებებისა მერიის და მერიის სამსახურების დებულებებში დამატებით ხორციელდება ცვლილება, რომლითაც სამსახურის განყოფილების უფროსის არყოფნისას მისი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა გარდა განყოფილების მოხელისა, ასევე ეძლევა სამსახურის უფროსს, ხოლო განყოფილების მოხელის არყოფნისას - გარდა სხვა მოხელისა, ასევე განყოფილების უფროსს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებონენ: კ. მიქაბერიძე, ფ. შონია, მ. ლემონჯარია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ლ. ცატავა, ნ. ვეკუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ფილიპია - გამომსვლელი დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილებით გაიზრდებოდა თუ არა სახელფასო ფონდი?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ სახელფასო ფონდი წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად არ გაიზრდებოდა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ლემონჯარია, თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ლ. ცატავა, ნ. ვეკუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

3. ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2019 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 14767,9 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 17628,2 ათასი ლარი შეადგინა. 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 48,7 %-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 7750,0 ათასი ლარიდან შემოსულია 4109,4 ათასი ლარი (53%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 6463,3 ათასი ლარიდან მიღებულია 2513,7 ათასი ლარი (38,9%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 464,6 ათასი ლარიდან შემოსულია 561,5 ათასი ლარი (120,8%). შემოსულობები არ არის არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 90,0 ათასი ლარიდან. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-ივნისის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 34,6% (გეგმა 17628,2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 6098,8 ათასი ლარი). თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა, წლიური გეგმიური 134,1 ათასი ლარიდან იანვარ-ივნისის თვეში ათვისებულია 67,7 ათასი ლარი (50,5%); ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 9487,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 2864,2 ათასი ლარი (30,2%); საგანმანათლებლო ღონისძიებები წლიური გეგმიური 2918,4 ათასი ლარიდან

იანვარ-ივნისის თვეში ათვისებულია 1102,9 ათასი ლარი(37,8%); კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები წლიური გეგმიური 1303,3 ათასი ლარიდან იანვარ-ივნისის თვეში ათვისებულია 543,4 ათასი ლარი(41%); მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2019 წლის გეგმიური 659,6 ათასი ლარიდან იანვარ-ივნისის თვეში ათვისებულია 183,3 ათასი ლარი(27,8%); ფულადი სახსრების ნაშთი 2019 წლის 1 ილისის მდგომარეობით 3997,8 ათასი ლარია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგებს აფასებს დამაკმაყოფილებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს წევრებს წარმოდგენილ კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები ან შეკითხვები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა. გამომსვლელმა განაცხადა, რომ თვითონაც გაეცნო წარმოდგენილ ანგარიშს, ეყრდნობა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას და გამომდინარე აქედან აფასებს ანგარიშს დამაკმაყოფილებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 25

დადებითი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: თ. გულუა, ი. ჯიშკარიანი, ლ. ცატავა, ნ. ვეკუა)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შედეგების შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მე-4 საკითხის განხილვამდე სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მ. ქარდავა) დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი, რადგანაც თვითონ საკრებულოს წინაშე წარსდგებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშით.

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე)

მოისმინეს: ე. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (ოქმს თან ერთვის) გამომსვლელმა ვრცლად ისაუბრა საკრებულოს 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და

დასასრულს აღნიშნა, რომ საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და მერიის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილებოდა მერიის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები. შემოსული პროექტებიდან ყველაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილებოდა კომისიების და ბიუროს მიერ. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე. საკრებულო მზად არის, მოისმინოს დასაბუთებული შენიშვნები, მიიღოს ობიექტური კრიტიკა, გაითვალისწინონ საქმიანი წინადადებები. გამომსვლელმა ბოლოს, მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს, საკრებულოს აპარატს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოსთან თანამშრომლობისა და 2018 წელს გაწეული საქმიანობისათვის, დარწმუნებულია ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ (მ. ქარდავა) მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 3 (მ. ქარდავა, ფ. შონია, ა. ქირია)

დადებითი – 22

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: თ. გულუა, ი. ჯიმშარიანი, ლ. ცატავა, ნ. ვეკუა)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. თეა გელანტია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. მერაბ ფილიპია
9. ბექა მამაცაშვილი
10. თენგიზ აბაკელია
11. კახა ლატარია
12. დავით ცინაძე
13. იგორი გოგოლაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გოჩა სიჭინავა
16. რამინი ხილაძე
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. კობა გოქაძე
24. ფრიდონ შონია
25. შადიმან ჭილაია